



# ფინანსური აუდიტის ანგარიში





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

*„ვაშტიკიძე“*

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

*[Handwritten signature]* კახაბერ კირტავა

4 ნოემბერი 2020 წელი

N 33/36

ეგზ. N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული  
საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31  
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო  
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

## შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	5
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	6
	2. მნიშვნელოვანი გარემოებები	13
	3. სხვა გარემოებები	16
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	27
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	29
	კონსოლიდირებული ერთეულები	30
	საკონტაქტო ინფორმაცია	32
დანართები		

## ტერმინები და შემოკლებები

- ა(ა)იპ** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
- გზების დეპარტამენტი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- მთავრობა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.
- ორგანიზაცია** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია.
- სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო.
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- სპორტის დეპარტამენტი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი.
- სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
- შპს** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:

- ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;
  - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;
  - გ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;
  - დ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;
  - ე) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა;
  - ვ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება;
  - ზ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა;
  - თ) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;
  - ი) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;
  - კ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

**ცხრილი N1.** ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსების შესახებ

მუხლის დასახელება	გეგმა	ფაქტი	გადახრა	შესრულება
<b>სულ:</b>	<b>342,203,377</b>	<b>325,967,251</b>	<b>16,236,126</b>	<b>95.3%</b>
ხარჯები	252,864,434	242,270,027	10,594,407	95.8%
შრომის ანაზღაურება	36,533,730	35,929,511	604,219	98.3%
საქონელი და მომსახურება	37,448,334	35,431,141	2,017,193	94.6%
პროცენტი	1,877,853	1,877,850	3	100%
სუბსიდიები	6,497,093	6,259,337	237,756	96.3%
გრანტები	79,307,661	75,165,536	4,142,125	94.8%
სოციალური უზრუნველყოფა	16,271,047	16,221,590	49,457	99.7%
სხვა ხარჯები	74,928,716	71,385,062	3,543,654	95.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	87,165,439	81,531,013	5,634,426	93.5%
ვალდებულებების კლება	2,173,504	2,166,212	7,292	99.7%

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

### პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>1</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, „პირობითი მოსაზრების საფუძვლებს“ აზრად აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

<sup>1</sup> „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით განსაზღვრული დანართები.

## 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

### 1.1 არაფინანსური აქტივები

#### 1.1.1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივები

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებული ხარვეზების გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 449,583,342 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი, კერძოდ: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის ბალანსზე 1,849 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის აღრიცხველობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივების ნაშთი არანაკლებ 449,046,309 ლარით<sup>2</sup> უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი.

კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას და განკარგვას, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.<sup>3</sup> აღნიშნული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სამინისტროს ბალანსზე უნდა ირიცხებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა ქონება, მათ შორის, არაფინანსური აქტივები, რომლის პირველადი გადაცემა არ განხორციელებულა. 2019 წლამდე არსებული პრაქტიკით, ქონების ორგანიზაციის ბალანსზე აღრიცხვა ხორციელდებოდა მხოლოდ პირველადი გადაცემის შემდეგ, ქონების მიმღების მიერ.<sup>4</sup> ამავე დროს, მოქმედი რეგულაციებით არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის აღრიცხვაში ასახვის დრო დგება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვების ან დათმობის შემთხვევაში.<sup>5</sup> სამინისტროს უფლებამოსილი პირის განმარტებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, დაწყებულია იმ არაფინანსური აქტივების ბალანსზე აღრიცხვის პროცედურები, რომელთა მართვა-განკარგვის უფლებამოსილება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქვს, თუმცა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არ არის

<sup>2</sup> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდებარე 350 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის გათვალისწინებით.

<sup>3</sup> „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>4</sup> „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების სარეგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს ქონების სარეგებლობაში მიმღებმა.

<sup>5</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.



აღრიცხული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 1,849 ერთეული სასოფლო-სამეურნეო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა.

1.1.2 არაწარმოებული აქტივები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული რესურსების აღურიცხველობის გამო, არაწარმოებული აქტივების ნაშთი არსებითად უზუსტოდაა წარმოდგენილი.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის N98 დადგენილების საფუძველზე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია, საშენი მასალებისა და მიწისქვეშა წყლების მოსაპოვებლად. შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებს აღნიშნული წიაღისეული აქტივების მესაკუთრის უფლებამოსილებებს. მოქმედი რეგულაციიდან<sup>6</sup> გამომდინარე, ყველა რესურსი, რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს წარსულში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას, ექვემდებარება აქტივად აღიარებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გასაცემ საშენ მასალათა ნუსხა და მისი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, სამინისტროს აღნიშნული რესურსები არაწარმოებულ აქტივებად არ აქვს აღიარებული.<sup>7</sup>

1.1.3 ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრის სარგებლობაში არსებული ქონება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 ივნისის N57 ბრძანებით დაიწყო სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრის ლიკვიდაცია. ლიკვიდაციის პროცესის გამო, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის საფუძველზე,<sup>8</sup> ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით,<sup>9</sup> გაუქმდა სარგებლობის უფლება ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრის მფლობელობაში არსებულ, 537,033 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების, ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში მდებარე 869 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 4 ერთეულ არასაცხოვრებელ ფართზე.<sup>10</sup> ქონების პირველადი გადაცემის გაუქმების გამო,

<sup>6</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>7</sup> 2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის გაცემიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 5,854,404 ლარი.

<sup>8</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N03/873, 10/09/2019.

<sup>9</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება N01-01-3/339, 27/09/2019.

<sup>10</sup> მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: 05.30.18.002.01.504; 05.30.18.002.01.505; 05.30.18.002.01.500; 05.30.18.002.01.501.



მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე,<sup>11</sup> აქტივები ექვემდებარებოდა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე აღრიცხვას. სამინისტროს ბალანსზე ქონების დადგენილი წესით აღურიცხველობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 537,033 ლარით უზუსტოდ, შემცირებულად არის წარმოდგენილი.

**1.1.4 სსიპ – ბათუმის ბულვარის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივები**

სსიპ – ბათუმის ბულვარის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული გრანტის სახით მიღებული, ჯამში 1464 კვ.მ შენობა-ნაგებობები, კერძოდ: 2019 წელს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მაისის N554 ბრძანებით, სსიპ – ბათუმის ბულვარს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში მიღებული აქვს ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის პლაჟის N26 სექტორში მდებარე 2000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებულ 961.2 კვ.მ შენობა-ნაგებობასთან ერთად<sup>12</sup> და ზღვისპირა პარკის პლაჟის N27 სექტორში მდებარე 1429 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი,<sup>13</sup> მასზე განთავსებულ 503 კვ.მ შენობა-ნაგებობებთან ერთად.<sup>14</sup> არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შეფასებულია და სსიპ – ბათუმის ბულვარის ბალანსზე აყვანილია მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასით, ჯამში 1,388,745 ლარით, თუმცა მიწის ნაკვეთებზე განთავსებული 1464 კვ.მ შენობა-ნაგებობები არ არის შეფასებული და ბუღალტრულად აღრიცხული.

**1.2 ფინანსური აქტივები და მოთხოვნები**

**1.2.1 მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და მოთხოვნების ნაშთი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 355,021,537 ლარს, საიდანაც მოთხოვნების ნაშთი დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით შეადგენს 75,136,588 ლარს. აღნიშნული, ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად, მყიდველების/მოსარგებლეების მიერ ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული ჯარიმები და პირგასამტეხლობია. მოპოვებული მტკიცებულებებით, მოვალეების მიერ ვალდებულება აღიარებული არ არის,<sup>15</sup> ხოლო სამინისტროს დავალიანების ამოღებაზე რეაგირება არ განუხორციელებია.

<sup>11</sup> „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

<sup>12</sup> მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.03.006.

<sup>13</sup> მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.23.03.005.

<sup>14</sup> შენობა-ნაგებობა N1, საერთო ფართი - 374.63 კვ.მ; შენობა-ნაგებობა N2, საერთო ფართი - 66.09 კვ.მ; შენობა-ნაგებობა N3, საერთო ფართი - 61.95 კვ.მ.

<sup>15</sup> არ არის ჩატარებული მოთხოვნების სვალდებულო ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1.2.2 მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

სსიპ – ბათუმის ბულვარს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ ერიცხება ნაშთი 250,704 ლარის ოდენობით, საიდანაც 14,274 ლარის ღირებულების მოთხოვნების ნაშთი უსაფუძვლოა, რადგან დავალიანება დებიტორების მიერ დაფარულია, ხოლო 24,951 ლარის ღირებულების მოთხოვნებზე რაიმე სახის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი. აღნიშნულ მოთხოვნებზე ვერ გაიგზავნა გარე დასტურის წერილები, რადგან აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა მოწოდებული მოვალე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ. ზემოაღნიშნული მოთხოვნები, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის პარკებისა და სკვერების გაერთიანების ლიკვიდაციის შემდეგ, ქალაქ ბათუმის მერის ბრძანებით,<sup>16</sup> გადაეცა სსიპ – ბათუმის ბულვარს, თუმცა ამ უკანასკნელს დავალიანების ამოღებაზე რეაგირება არ განუხორციელებია.

1.2.3 საგადასახადო აქტივები

სსიპ – ბათუმის ბულვარს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, საგადასახადო აქტივების ნაშთი არ აქვს. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ წარმოდგენილი მონაცემი უზუსტოა, კერძოდ, საგადასახადო შედარების აქტით ირკვევა, რომ სსიპ – ბათუმის ბულვარის საგადასახადო აქტივების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 10,417 ლარს, რაც ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

1.3 ვალდებულებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ფინანსურ ანგარიშგებაში ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 97,841,907 ლარს, რაც არანაკლებ 19,333 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი, კერძოდ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნების ნაშთი დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 19,333 ლარს. მოთხოვნის წარმოშობა დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებთან. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საქმიანობის განხორციელებისას, კონტრაქტორებისთვის დაკისრებული ჯარიმები/სანქციები/საურავები და სხვა შემოსულობები მიიმართება შესაბამის ბიუჯეტში. შესაბამისად, სამინისტროს 19,333 ლარის მოცულობის მოთხოვნის აღრიცხვისთანავე წარმოეშვა ვალდებულება რესპუბლიკური ბიუჯეტის წინაშე, რაც ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული ხარვეზების გამო, დადგენილი წესით არ იქნა აღიარებული.

<sup>16</sup> ქალაქ ბათუმის მერის ბრძანება N226, 20/05/2010.

## 1.4 ინვენტარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, შიდა კონტროლის სისტემის სისუსტისა და პასუხისმგებელ პირთა მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო, დარღვეულია ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესები, კერძოდ:

- რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ არც ერთ საბიუჯეტო ორგანიზაციაში მოქმედი რეგულაციების დაცვით არ ტარდება მოთხოვნების და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაცია.<sup>17</sup>
- სსიპ – ბათუმის ბულვარში<sup>18</sup> ქონების ინვენტარიზაცია არ დასრულებულა საანგარიშგებო წლის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე.<sup>19</sup> ინვენტარიზაციის დასრულების ვადად მითითებულია 2020 წლის 31 იანვარი.
- სპორტის დეპარტამენტში, გზების დეპარტამენტში, სსიპ – ბათუმის ბულვარსა და სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმში“ გამოვლენილია შემთხვევები, როდესაც ქონებას საინვენტარო ნომრები არ აქვს მინიჭებული ან/და არ არის მითითებული ქონების ბრენდი და მოდელი, რის გამოც ვერ ხერხდება საინვენტარიზაციო ქონების იდენტიფიცირება. გარდა ამისა, სპორტის დეპარტამენტის შემთხვევაში, ფაქტობრივად განხორციელებულია ქონების პირველადი გადაცემა. შესაბამისად, ინვენტარიზაციის პერიოდში ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფდა ქონების ეფექტიან კონტროლს, თუმცა დოკუმენტურად წარმოდგენილია საინვენტარიზაციო აღწერის უწყისში და მისი არსებობა დადასტურებულია, რაც ინვენტარიზაციის ფორმალურ ხასიათზე მიუთითებს და შიდა კონტროლის სისტემის არსებითი სისუსტის მაჩვენებელია. აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად ირკვევა, რომ სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ქონების ნაწილი განთავსებულია სხვადასხვა ფედერაციის სამუშაო ოფისებში, ხოლო ნაწილი – კერძო პირებთან.

## 1.5 შიდაჯგუფური ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ობიექტურ სურათს უნდა გვთავაზობდეს. ამისათვის, შიდაჯგუფური ოპერაციები უნდა გამოირიცხოს, რათა ჯგუფის მდგომარეობა ისე იყოს წარმოდგენილი, თითქოს ის ერთი ერთეულია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია პირდაპირ არ ადგენს შიდაჯგუფური ნაშთების და ოპერაციების გამოირიცხვის (ელიმინირების) წესს, მიუთითებს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, სააღრიცხვო პოლიტიკის/შიდა აღრიცხვის წესების ფარგლებში, შიდა მეთოდური მითითებების და წესების შემუშავების დროს, საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას შეუძლია გაითვალისწინოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

<sup>17</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>18</sup> სსიპ – ბათუმის ბულვარის დირექტორის ბრძანება N01-02/251, 27/09/2019.

<sup>19</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

სტანდარტების დებულებები, მიღებული პრაქტიკა აღრიცხვის და ანგარიშგების კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება მოქმედი ინსტრუქციის მოთხოვნებს. შიდაჯგუფური ნაშთების და ოპერაციების ელიმინირების განუხორციელებლობის გამო, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსის დანართ ფორმა N2-ში „გრანტების“ დარიცხული ხარჯი, ასევე ბალანსის დანართ ფორმა N3-ში სადებეტო და საკრედიტო ბრუნვა 12,791,702 ლარით უზუსტოდ, გაზრდილად არის წარმოდგენილი. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ერთმანეთში განახორციელეს 12,791,702 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების არაფინანსური აქტივების უსასყიდლო გადაცემა, კონსოლიდაციის დროს კი ეს ოპერაციები არ გამორიცხულა.

**1.6 სააღრიცხვო პოლიტიკა**

მოქმედი რეგულაციით, ორგანიზაციის ხელმძღვანელი აღრიცხვის და ანგარიშგების ორგანიზების მიზნით, ერთიანი მეთოდოლოგიისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვრავს სააღრიცხვო პოლიტიკას – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაწილს<sup>20</sup> დამტკიცებული სახით სააღრიცხვო პოლიტიკა არ აქვს.<sup>21</sup> ერთგვაროვანი სააღრიცხვო პოლიტიკის არსებობა მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუ კონტროლირებული ერთეული ანალოგიური ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისათვის იყენებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილი სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მაკონტროლებელმა ერთეულმა უნდა გააკეთოს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი კორექტირება, რაც შეუძლებელი იქნება დამტკიცებული სახით სააღრიცხვო პოლიტიკის არქონის შემთხვევაში.

**1.7 საცნობარო მუხლები**

**1.7.1 პირობითი ვალდებულები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, პირობითი ვალდებულებების მოცულობა, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 38,940 ლარს. აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, პირობითი ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო დავასთან,<sup>22</sup> სადაც მოპასუხე მხარეა ა(ა)იპ – აგროპროექტების

<sup>20</sup> უმაღლესი საბჭო; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი; სსიპ - აჭარის დასაქმების სააგენტო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრი; სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო; სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო; სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

<sup>21</sup> დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>22</sup> აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში სასამართლო სხდომა ჩანიშნული არ ყოფილა.

მართვის ცენტრის უფლებამონაცვლე – სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მოპოვებული მტკიცებულებებით, არ არსებობს პირობითი ვალდებულების წარმოშობის შესაბამისი საფუძვლები, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში სამინისტროს არ აქვს წამგებიანი სასტარტო პოზიცია. ამასთანავე, პირობითი ვალდებულება წარმოადგენს ისეთ შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენებისაგან და რომლის არსებობაც დადასტურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდება, ან არ დაფიქსირდება ერთი ან უფრო მეტი განუსაზღვრელი მომავალი მოვლენა, რომელიც ერთეულის სრული კონტროლის ქვეშ არ იმყოფება.

*აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.*



## 2. მნიშვნელოვანი გარემოებები

### 2.1 ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

#### 2.1.1 ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის არაფინანსური აქტივების მდგომარეობა

ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი, საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, ფლობს სათბურებს, სანერგებს, სადემონსტრაციო ნაკვეთებს და ა. შ. ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი აქტივების ნაწილი დაზიანდა 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, კერძოდ:

ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2020 წლის 9-10 თებერვალს, ყინვებისა და სხვა არახელსაყრელი გარემო პირობების გავლენით, ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში 87,069 ლარის ღირებულების, 9,213 ერთეული<sup>23</sup> ციტრუსოვანთა მცენარე დაზიანდა. ცენტრის განმარტებით, ციტრუსოვანთა დაზიანება გამოწვეული იყო შემდეგი ფაქტორებით: დაბალი ტემპერატურა (-11.8°C), თოვლი, უცხოეთიდან შემოტანილი ნაკლებად ყინვაგამძლე საძირეები და სხვ. აგროსერვის ცენტრის მოსაზრებისგან განსხვავებულ შეფასებას იძლევიან სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში მოწვეული აგრარული დარგის მეცნიერ-კონსულტანტები.<sup>24</sup> კერძოდ, მეცნიერ-კონსულტანტების მიერ მომზადებულ შესაბამის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აგროსერვის ცენტრის ხელმძღვანელობამ არ უზრუნველყო ჩაქვის ციტრუსოვანთა სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობა მცენარეთა ყინვებისაგან პირდაპირი დაცვის საჭირო მასალებით. შედეგად კი მეცნიერულად დამუშავებული აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ვერ მოხერხდა, რამაც მცენარეების მასიური დაზიანება გამოიწვია.“ მოპოვებული ინფორმაციით, ყინვებთან ბრძოლის პირდაპირი საშუალებების გამოყენება გარკვეულად ამსუბუქებს ყინვებისგან მცენარის დაზიანების ხარისხს. ეს საშუალებებია: კვამლის წარმომქნელი კოჭები, ამორტიზებული საბურავები, ნახერხი, მაზუთი და ა.შ. აგროსერვის ცენტრის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ათეულ ადგილას მოეწყო კვამლწარმოქმნა, მაგრამ ყინვის სიძლიერის, ხანგრძლივობისა და ქარის გამო, ეფექტიანობა უმნიშვნელო იყო. ორგანიზაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ არ მოუწყვიათ მცენარეთა ინდივიდუალური გადახურვა, რადგან მას 3 წლის ზემოთ ასაკის მცენარეებში არ მიმართავენ. მეცნიერ-კონსულტანტთა მოსაზრებით, ინდივიდუალური გადახურვა შესაძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ნაკვეთში განთავსებული ჯიშების უმრავლესობა არ არის მაღალი და ტექნიკურად მისი შეფუთვა შესაძლებელი იქნებოდა. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ინდივიდუალური გადახურვა ვერ განხორციელდა, რადგან აგროსერვის ცენტრმა დროულად არ უზრუნველყო შესაბამისი საშუალებების შესყიდვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აგროსერვის ცენტრისგან მოითხოვა მეცნიერ-კონსულტანტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება,<sup>25</sup> თუმცა არ უმსჯელია სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში მეცნიერულად

<sup>23</sup> ერთი ბალით დაზიანდა 1,909 მცენარე, 2 ბალით - 3,114 მცენარე, 3 ბალით - 1,573 მცენარე, 4 ბალით - 1,575 მცენარე, 5 ბალით - 1,042 მცენარე. წარმოდგენილი ინფორმაციით, ერთი ბალით ფასდება მცენარე, რომელსაც ფოთლების 50% აქვს დაკარგული, ხოლო 5 ბალით დაზიანებისას, მცენარის მთელი ნამყენი ნაწილი ან დაკალმებული მცენარე ფესვის ყელამდე დაზიანებულია.

<sup>24</sup> შრომითი ხელშეკრულება N15, 16/01/2020; შრომითი ხელშეკრულება N17, 16/01/2020; შრომითი ხელშეკრულება N18, 16/01/2020.

<sup>25</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი N03/553, 30/06/2020.

დამუშავებული აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხორციელებლობის მიზეზებსა და ამ პროცესში პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებაზე, რაც სამინისტროს მიერ საჯარო რესურსების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

) 2019 წელს აგროსერვის ცენტრის ბალანსზე ირიცხებოდა 3,096,757 ლარის საწყისი საბალანსო ღირებულების 50 სათბურისგან შემდგარი სასათბურე მეურნეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბარში.<sup>26</sup> 2020 წლის 9 თებერვალს მოსული ნალექის შედეგად 312,013 ლარის ღირებულების, 7 ერთეული სასათბურე კონსტრუქცია დაზიანდა (ჩამოინგრა). აგროსერვის ცენტრის უფლებამოსილი პირების განმარტებით, იდენტური ექსპლუატაციისა და კლიმატის პირობებში, 50 ერთეული სათბურიდან ჩამოინგრა 7 ერთეული, რაც, მათი მოსაზრებით, გამოწვეულია სათბურების ტექნიკური ხარვეზებით. რადგან სათბურების ლითონის კარკასზე ვრცელდებოდა 5-წლიანი, ხოლო გადასაფარებელ პოლიეთილენის ფირზე – 3-წლიანი საგარანტიო ვადა,<sup>27</sup> სათბურების აღდგენის ან ახლით ჩანაცვლების მოთხოვნით აგროსერვის ცენტრმა მიმართა სათბურების მიმწოდებელ კომპანიას,<sup>28</sup> თუმცა მიმწოდებელმა უარი განაცხადა თავისი ხარჯით აღდგენა ან ახლით ჩანაცვლებინა დაზიანებული სათბურები.<sup>29</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიყენებული ზიანი შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო, თუ განხორციელდებოდა სათბურების გადმოთოვლა ან უკიდურეს შემთხვევაში, პოლიეთილენის ფირის დაჭრა.

) ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში დამონტაჟებულია 64,386 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მორწყვის წვეთოვანი სისტემა სასუქების შემრევი მექანიზმით, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ვეგეტაციის პერიოდში მცენარეების მორწყვისა და მაკრო/მიკროელემენტების შემცველი, წყალში ხსნადი სასუქებით გამოკვება. ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ სისტემა არ მუშაობს და ასე გრძელდება, მინიმუმ, ბოლო ორი წლის განმავლობაში. ზემოაღნიშნული აჩქარებს მორწყვის წვეთოვანი სისტემის ამორტიზაციას და შესაძლოა, შემდგომში მისი აღდგენა შეუძლებელი გახდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის სწორი მენეჯმენტის პირობებში, გარემოებათა ჯეროვანი შესწავლისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გაანალიზების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი პროგრამების დროული განხორციელება, ორგანიზაციისთვის ნარგავების დაზიანებითა და სათბურების ნგრევით მიყენებული ზიანის შემცირება და, შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

<sup>26</sup> ერთი ერთეული სათბურის კონსტრუქციის საწყისი საბალანსო ღირებულება 44,573 ლარს შეადგენს, შესაბამისად, მხოლოდ 50 ერთეული სათბურის ღირებულება - 2,228,667 ლარს.

<sup>27</sup> NAT170006305.

<sup>28</sup> ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის წერილი Nაგრო-01/58, 12/02/2020.

<sup>29</sup> შპს „კომფორტი XXI“-ის წერილი N20/02/20, 25/02/2020.



## 2.2 შრომის ანაზღაურება

### 2.2.1 ორ პოზიციაზე

#### შეთავსებით საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა სრულმა ხარჯმა შეადგინა 36,538,591 ლარი, მათ შორის, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი შეადგენს 35,929,511 ლარს, ხოლო არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრებიდან – 609,080 ლარს. გარდა ამისა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაზე გაწეულია 8,436,825 ათასი ლარის ხარჯი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.<sup>30</sup> შესაბამისად, შეთავსებითი სამუშაო გულისხმობს, რომ ორი სამუშაოდან, მუნიციპალური, ერთ-ერთი უნდა იყოს არასრულგანაკვეთიანი. მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სრულ განაკვეთზე დასაქმებულად ჩაითვლება პირი, თუ იგი კვირაში 40 საათს მუშაობს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში – 48 საათს.<sup>31</sup> აუდიტის შედეგად, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში<sup>32</sup> გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ერთი პირი, იმავე ორგანიზაციაში, სრულ განაკვეთზე, ორ სხვადასხვა პოზიციაზე საქმიანობს, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებებით, დასაქმებულის სამუშაო კვირა თითოეულ პოზიციაზე 40 საათს შეადგენს და ხელფასიც ორივე პოზიციაზე სრული მოცულობით ერიცხება. მაგალითად, სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანის“ იურისტი იმავე ორგანიზაციაში ასრულებს შესყიდვების კოორდინატორის მოვალეობას. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში, შეთავსებითი სამუშაოს მოვალეობები შედის დასაქმებულის ძირითადი სამუშაოს მოვალეობებში. ამ პირობებში შეთავსებითი სამუშაოსთვის 3 ორგანიზაციაში<sup>33</sup> 2019 წელს ჯამში გადახდილია 10,500 ლარის ხელფასი. ზემოაღნიშნული შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეზე მიუთითებს, რაც არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების შედეგია.

## 2.3 მივლინებები

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების მივლინებებზე გაწეულმა საკასო (ფაქტობრივმა) ხარჯმა შეადგინა 1,981,906 ლარი, მათ შორის, ქვეყნის

<sup>30</sup> საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>31</sup> საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>32</sup> სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“; სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრი; სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი; ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა.

<sup>33</sup> სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრი – 2 შემთხვევა; სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“ – 1 შემთხვევა; ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა – 2 შემთხვევა.

ფარგლებს გარეთ მივლინებებზე გაწეულია 1,758,801 ლარის ხარჯი. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების დროს მნიშვნელოვანი პრობლემაა, როდესაც მივლინების საჭიროება დაუსაბუთებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ მივლინების დაგეგმვის ეტაპზე არ ხორცილდება მოსალოდნელი შედეგების შეფასება. ასევე მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, არ ხდება/ან ფორმალურ ხასიათს ატარებს მივლინებების შედეგებზე ინფორმაციის წარმოდგენა, მაგალითად:

სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბრძანებით,<sup>34</sup> თეატრის 4 თანამშრომელი, 2019 წლის 27 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით, მივლინებით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ქალაქ ლონდონში. იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი მოწვევა ითვალისწინებდა თეატრის თანამშრომელთა შეხვედრაში მონაწილეობას და წარმოდგენაზე დასწრებას მხოლოდ 2019 წლის 2 თებერვალს, მივლინების პერიოდი განისაზღვრა 8 დღით. ასევე მოწვევის გათვალისწინებით, არ დგინდება თეატრის რიგი თანამშრომლების მივლინებაში გამგზავრების საჭიროება. ზემოაღნიშნულის გამო, ბიუჯეტიდან მივლინების ფარგლებში არაეფექტიანად იქნა გახარჯული 5,805 ლარი, რაც არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილების შედეგია. გარდა ამისა, აღნიშნული მივლინების ფარგლებში, 4 პირზე ღამისთევსთვის ზედმეტად ანაზღაურებულია 1,292 ლარი, რაც ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება.

### 3. სხვა გარემოებები

#### 3.1 სახელმწიფო შესყიდვები

##### 3.1.1 ბაზრის კვლევა

სახელმწიფო შესყიდვებში მნიშვნელოვანი პრობლემაა ბაზრის კვლევის საკითხი. ბაზრის არასათანადო კვლევის გამო, გარკვეულ შემთხვევებში შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად არის განსაზღვრული, რის გამოც პრეტენდენტებს უწევთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. სავარაუდო ღირებულების მაღალი ფასით განსაზღვრამ, კონკურენციის არარსებობის პირობებში შესაძლოა არაეკონომიური ხარჯი გამოიწვიოს. ამასთანავე, ასეთ ტენდერებში წარმოქმნილი ეკონომიები რეალურად ეკონომია არ არის.

აუდიტის შედეგად დგინდება, რომ რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს ბაზრის კვლევა საერთოდ არ არის ჩატარებული ან/და ჩატარებული კვლევა ფორმალურია და არ ემსახურება პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არაეკონომიური ხარჯის გაწევა.

<sup>34</sup> სამხატვრო ხელმძღვანელის ბრძანება N01-06/27, 01/12/2018.

### 3.1.2 სპორტული ინვენტარის შეძენა

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი,<sup>35</sup> სპორტის ხელშეწყობის ქვეპროგრამის – „სპორტული ინვენტარის შეძენა“ ფარგლებში, 2018 წლის 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე პერიოდში, სპორტული საქონლისა და აღჭურვილობის (ინვენტარის) შესაძენად გამოაცხადა 5 ელექტრონული ტენდერი,<sup>36</sup> მათ შორის, ერთი ტენდერის<sup>37</sup> ფარგლებში განისაზღვრა სპორტის 32 სახეობაში, 194 დასახელების, 2525 ერთეული სპორტული საქონლისა და აღჭურვილობის შესყიდვა. შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი განმარტება სხვადასხვა კლასიფიკატორის კოდის მქონე შესყიდვის ობიექტის ერთ შესყიდვად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ბაზრის ფაქტობრივი კვლევის გარეშე განისაზღვრა 701,705 ლარით. სპორტის დეპარტამენტი შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნო შესაბამისი სპორტული ფედერაციების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ინვენტარის ღირებულების შესახებ, რომელთა უმრავლესობას თან არ ერთვოდა საქონლის საბაზრო ფასის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ტენდერში ტექნიკურ პირობად განისაზღვრა, რომ პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს, მინიმუმ, 3-წლიანი უწყვეტი გამოცდილება და ბოლო სამი წლის განმავლობაში, მინიმუმ, 4 მილიონი ლარის ბრუნვა (დადასტურებული ხელშეკრულებებით და მიღება-ჩაბარების აქტებით ან/და სხვა დოკუმენტაციით) და იმპორტის გამოცდილება. შემსყიდველი ვერ ასაბუთებს, რატომ გახდა მიზანშეწონილი 701,705 ლარის ღირებულების შესყიდვაზე 4 მილიონი ლარის ბრუნვის და 3-წლიანი უწყვეტი გამოცდილების<sup>38</sup> მოთხოვნა. ტენდერში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი – შპს „პიკოლო“, რომელსაც ჰქონდა 4,039,807 ლარის ბრუნვის (რეალიზაციის) გამოცდილება. ზემოაღნიშნული, სხვა გარემოებებთან ერთად, წარმოშობს სატენდერო პირობების კონკრეტულ კომპანიასთან მისადაგების რისკებს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს შემოსავლების სამსახურიდან უნდა წარმოედგინა ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ შპს „პიკოლოს“ შესაბამის პერიოდში ერიცხებოდა სალდირებული აღიარებული დავალიანება 117,444 ლარის ოდენობით და დარღვეული ჰქონდა შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულებით<sup>39</sup> განსაზღვრული გადახდის გრაფიკი,<sup>40</sup> სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს არ მისცა დისკვალიფიკაცია და გაუფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,<sup>41</sup> ღირებულებით – 692,630 ლარი. ოქმის<sup>42</sup> თანახმად, სატენდერო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გაითვალისწინა სპორტული ფედერაციებისთვის ინვენტარის მიწოდების

<sup>35</sup> შესყიდვის განხორციელების დროს - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.

<sup>36</sup> SPA180008184; SPA180008192; SPA180008193; SPA180008279; SPA180008412.

<sup>37</sup> SPA180008184.

<sup>38</sup> სავარაუდოდ, იგულისხმება უწყვეტი საქმიანობის გამოცდილება.

<sup>39</sup> საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება N2018-3287, 03/10/2018.

<sup>40</sup> გადახდის გრაფიკი ითვალისწინებდა პირველი გადახდის განხორციელებას 2018 წლის 23 ოქტომბრამდე, ხოლო გადახდა განხორციელებულია 2018 წლის 24 ოქტომბერს.

<sup>41</sup> ხელშეკრულება N70, 21/11/2018.

<sup>42</sup> სატენდერო კომისიის ოქმი N93, 14/11/2018.

გადაუდებელი საჭიროება. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ჩატარებული შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად ირკვევა, რომ შესყიდული ინვენტარის დიდი ნაწილი არ არის შესული ექსპლუატაციაში და დასაწყობებულია სხვადასხვა სპორტული ფედერაციის ტერიტორიაზე, ასევე ნაწილი კერძო პირებთან,<sup>43</sup> რაც შესყიდვის გადაუდებელ საჭიროებას გამოიცხავს.

ხელშეკრულებით საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 იანვრამდე პერიოდი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ჯერ 2019 წლის 12 თებერვლამდე,<sup>44</sup> ხოლო მეორედ – 2019 წლის 15 აპრილამდე<sup>45</sup> გაგრძელდა. არსებული დოკუმენტაციით, მიმწოდებელმა 2018 წლის 25 დეკემბრამდე დეპარტამენტს 249,454 ლარის ღირებულების საქონელი მიაწოდა, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულებიდან დანარჩენი თანხა, 443,176 ლარი გადაირიცხა ავანსად.<sup>46</sup> წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებელმა საქონლის საბოლოო მიწოდება განახორციელა 2019 წლის 26 მარტს.

აუდიტის ჯგუფმა შემსყიდველის მეშვეობით მიმწოდებლისგან გამოითხოვა მიწოდებული საქონლის შეძენის და საბაჟო გაფორმების დოკუმენტაცია. შპს „პიკოლოს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება, არანაკლებ, 52,660 ლარის ღირებულების – ფიგურული ციგურაობის, ფარიკაობის, ჩოგბურთის და მშვილდოსნობის სახეობებისთვის რიგი ინვენტარის საქართველოს ტერიტორიაზე შესყიდვა ან უცხოეთიდან შემოტანა და საბაჟო გაფორმება.<sup>47</sup> შესაბამისად, არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ ინვენტარის და მოწყობილობების ნაწილის მიწოდება არ განხორციელდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა ბაზრის ფაქტობრივი კვლევის გარეშე, რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი რიგი ინვენტარის და მოწყობილობის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფასებით დასტურდება.

**ცხრილი N2.** ინფორმაცია რიგი საქონლის ფასების შესახებ

N	დასახელება	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ფასი (ლარი)	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	ფასნამატი (%)
1	მიუდოს ტატამი	15,000	33,000	120%
2	მკლავჭიდის მაგიდა	600	3,000	400%
3	პარამკლავჭიდის მაგიდა	600	2,500	317%
4	რაგბის ბურთი	25	98	292%
5	საპლაჟო ფრენბურთის ბურთი	40	155	288%

<sup>43</sup> შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგად ირკვევა, რომ სპორტული ინვენტარის ნაწილი, დოკუმენტური გაფორმების გარეშე გადაცემული იყო სხვადასხვა სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელისა და მწვრთნელისთვის, ხოლო ქონების ნაწილი ინახებოდა აღნიშნული პირების ახლო ნათესავებთან. აუდიტის ობიექტის განმარტებით, ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის ორი ფლიგელის დემონტაჟის შემდეგ, სპორტულ სახეობათა უმეტესობა გადაყვანილი იქნა დროებით ფართებში, ხოლო ინვენტარის ნაწილი დასაწყობდა ფედერაციის წარმომადგენლებთან.

<sup>44</sup> შეთანხმება N1, 29/01/2019.

<sup>45</sup> შეთანხმება N2, 12/02/2019.

<sup>46</sup> სს „ტერაბანკის“ საავანსო საბანკო გარანტია N TB.0387674.001-007, 20/12/2018.

<sup>47</sup> შპს „პიკოლოს“ დირექტორის განმარტებით, ინვენტარის შეძენა უცხოეთში და შემდგომ, საბაჟო გაფორმება განხორციელდა შპს „პიკოლოსთან“ დაკავშირებული სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, რის გამოც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შპს „პიკოლოს“ შემოსავლებში არ უფიქსირდება ან/და შესყიდულია უცხოეთში შპს „პიკოლოს“ მიერ, თუმცა საქართველოში შემოტანილია საბაჟო გაფორმების გარეშე.

შპს „პიკოლოს“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სპორტის დეპარტამენტისთვის მიწოდებულ საქონელში, საქართველოს ტერიტორიაზე და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საბაჟო გაფორმების ჩათვლით, ჯამში გადახდილია 466,442 ლარი. შესაბამისად, ჯამური ფასნამატი შეადგენს 226,188 ლარს (48.5%-ს), რაც ბაზრის კვლევის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე მიუთითებს და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის მაჩვენებელია. გარდა ამისა, რისკის შემცველია მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა დადგენილ სტანდარტებთან. შერჩევითი ინვენტარიზაციით დგინდება, რომ ინვენტარის და მოწყობილობების ნაწილზე არ არის მითითებული ბრენდი და მოდელი, ასევე აღნიშვნა, რომ საქონელი შეესაბამება კონკრეტული საერთაშორისო სპორტული ფედერაციის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ინვენტარიზაციის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დეპარტამენტისთვის მიწოდებული საჭიდაო ხალიჩები არ შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს. კერძოდ, სულ შესყიდულია 9 ერთეული საჭიდაო ხალიჩა, რაშიც გადახდილია 129,900 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, თითოეული ხალიჩა უნდა შედგებოდეს ლეიბებისაგან, ზომით 2X1 (მეტრი), ჯამურად – 1,208 კვ.მ, ხოლო ფაქტობრივად მიწოდებულია იმავე ჯამური ფართობის ხალიჩები, რომელიც შედგება 1X1 (მეტრი) ზომის ლეიბებისგან. ზემოაღნიშნული დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე მიუთითებს, რაც შესაძლოა შეიცავდეს არამართლზომიერი ქმედების რისკებს.

შემსყიდველის მიერ ბაზრის არასათანადო კვლევა, ტექნიკური მოთხოვნები პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებით, ასევე სატენდერო კომისიის მიერ სათანადო საფუძვლების არსებობისას დისკვალიფიკაციის გამოუყენებლობა და სხვა გარემოებები – ერთობლიობაში მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული შესყიდვა შესაძლოა მისადაგებული ყოფილიყო კონკრეტული კომპანიის ინტერესებზე, რამაც საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არამიზნობრივი ხარჯვა გამოიწვია.

**3.1.3 ბათუმის ბულვარში ფილების, ბორდიურებისა და წვივმიმღები ჭების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა**

სსიპ – ბათუმის ბულვარის მიერ, ახალ ბულვარში ფილების, ბორდიურებისა და წვივმიმღები ჭების მოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით, ელექტრონული ტენდერით,<sup>48</sup> შპს „მონოლითი 2005“-თან გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება,<sup>49</sup> ღირებულებით 2,041,885 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ბუნებრივი გრანიტის ფილების<sup>50</sup> დემონტაჟი და დასაწყობება ადგილზე, ხოლო შემდგომ იმავე მოცულობის არსებული ფილების დაგება. დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, არსებული ფილების დაგების სამუშაოებისათვის შემსყიდველმა გადაიხადა ჯამში 483,978 ლარი, სადაც 143,635 ლარი სსიპ – ბათუმის ბულვარის საკუთრებაში არსებული ფილების ღირებულებაა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო განფასებული და შესაბამისად, არც – გადახდილი. თანხის გადახდის შემდეგ, სსიპ – ბათუმის ბულვარმა, 2020 წლის 20 ივლისს სარჩელით მიმართა

<sup>48</sup> NAT180002218.

<sup>49</sup> ხელშეკრულება N2/15, 29/03/2018.

<sup>50</sup> ფილების ზომა შეადგენს: 80\*60\*60 სმ და 60\*40\*60 სმ.



სასამართლოს მიმწოდებლისათვის 102,462 ლარის დაკისრებაზე,<sup>51</sup> რაც არის უშუალოდ ფილების ღირებულება. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, სასარჩელო მოთხოვნა დაზუსტდა და მოთხოვნის მოცულობა 143,635 ლარამდე გაიზარდა.<sup>52</sup>

ამასთანავე, წარმოდგენილი შესრულების დოკუმენტაციით, მიმწოდებელმა განახორციელა, ჯამში – 3,224 კვ.მ მეორეული ფილების და ბორდიურების დატვირთვა/დაცლა და ტრანსპორტირება მერიის სამეურნეო ეზომდე, რისთვისაც გადახდილია 27,912 ლარი. სსიპ – ბათუმის ბულვარსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მატერიალური აქტივების მიღების აქტის თანახმად, მერიას მიღებული აქვს, ჯამში – 1,782 კვ.მ ფილა. შესაბამისად, არ დასტურდება 12,484 ლარის ღირებულების<sup>53</sup> სამუშაოების შესრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სსიპ – ბათუმის ბულვარმა, თავის საკუთრებაში არსებულ ფილებში გადაიხადა 143,635 ლარი, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოებისათვის – 12,484 ლარი. შედეგად, სსიპ – ბათუმის ბულვარის მიერ, ჯამში ზედმეტად გადახდილია 156,119 ლარი, რაც მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არამართლზომიერი ქმედების რისკებზე მიუთითებს.

**3.1.4 „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები**

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა პროექტის განხორციელება, მათ შორის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალვაშოში საპიკნიკე ადგილისა და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის მოწყობა, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს ხიდთან დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობა და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზამლეთში (ნენის ხიდთან) დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობა.

საპიკნიკე ადგილისა და გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების სადგურის მოწყობის ღონისძიების განსახორციელებლად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2018 წლის 8 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი.<sup>54</sup> შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 198,165 ლარით, ხოლო მიწოდების ვადად – არა უგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბერი. ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციაში აღინიშნა, რომ მიმწოდებელმა სამშენებლო სამუშაოები ობიექტზე არ უნდა აწარმოოს 2018 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 15 ოქტომბრამდე, ვინაიდან ამ პერიოდისათვის აღნიშნულ დერეფანში ფრინველების გადაფრენის აქტიური პერიოდია და სწორედ ამ დროს ტარდება გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი.

ტენდერში გაიმარჯვა შპს „ალიგატორი 1“-მა, რომელთანაც გაფორმდა

<sup>51</sup> სარჩელს საფუძვლად დაედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა.

<sup>52</sup> დაზუსტებული სარჩელი სამოქალაქო საქმეზე, 14/09/2020.

<sup>53</sup> ერთი კვ.მ ფილის/ბორდიურის გადატანისათვის საშუალოდ გადახდილი თანხის გათვალისწინებით.

<sup>54</sup> SPA180005331.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,<sup>55</sup> ღირებულებით – 169,140 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მიწოდების ვადის დასრულებამდე (2018 წლის 20 დეკემბერი) მიმწოდებელს სამშენებლო სამუშაოები არ განუხორციელებია. მიუხედავად ამისა, 2018 წლის 25 დეკემბერს დათარიღებული შეთანხმებით,<sup>56</sup> ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები და მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდი. შეთანხმება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია დოკუმენტზე აღნიშნული თარიღიდან 17 დღის შემდეგ, 2019 წლის 11 იანვარს,<sup>57</sup> რაც წარმოშობს რისკებს, რომ შეთანხმება მითითებულ დროს არ არის გაფორმებული. შეთანხმებით გაუქმდა ფინანსური გეგმა-გრაფიკი და პირგასამტეხლო, გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში.<sup>58</sup> მიწოდების ვადების ცვლილებას საფუძვლად დაედო მიმწოდებლის წერილი<sup>59</sup> და შესყიდვის ობიექტის კონტროლის, შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის მოხსენებითი ბარათი.<sup>60</sup> აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, სამშენებლო ტერიტორიაზე მისასვლელი ერთადერთი საავტომობილო გზა დაფარული იყო ხე-მცენარეებით, რომელთა გაჩეხვაზე თანხმობა სამინისტროს მიერ მოპოვებულ იქნა 2018 წლის 2 ნოემბერს. ასევე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას ეწინააღმდეგებოდა მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ერთ-ერთი პირი. წარმოდგენილი საფუძვლებით, მიწოდების ვადის გაგრძელება დაუსაბუთებელია, რადგან ხელშეკრულების შესაბამისად, 2018 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდში სამშენებლო სამუშაოები ისედაც არ წარმოებდა, ხოლო ეს პერიოდი, გონივრული გათვლებით, სრულიად საკმარისი იქნებოდა სათანადო ნებართვების ასაღებად და გზის სავალი ნაწილის მოსახერხებელ მდგომარეობამდე მისაყვანად, ისევე, როგორც სამშენებლო ტერიტორიის მეზობლად მცხოვრებ პირთან შეთანხმების მისაღწევად. აქვე აღსანიშნავია, რომ გზის სავალი ნაწილის მდგომარეობა არ გაუარესებულა ტენდერის მიმდინარეობისას/ხელშეკრულების მოქმედების პროცესში და ის თავიდანვე ცნობილი იყო ან/და უნდა ყოფილიყო მიმწოდებლისთვის. ამასთანავე, ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების გამო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მიმწოდებელს არ დააკისრა 19,590 ლარის პირგასამტეხლო. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობა შესყიდვების მართვაში არსებულ ხარვეზებს ადასტურებს და პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებაზე მიუთითებს.

სახელმწიფო შესყიდვების არასათანადო დაგეგმვისა და ტენდერის მოუმზადებელად გამოცხადების მაგალითია ასევე დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნული ღონისძიებების

<sup>55</sup> ხელშეკრულება N134, 11/07/2018.

<sup>56</sup> შეთანხმება N1, 25/12/2018.

<sup>57</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვითი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>58</sup> ამ პერიოდში პირგასამტეხლო მხოლოდ გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის შეადგენდა 2,346 ლარს.

<sup>59</sup> შპს „ალიგატორი 1“-ის წერილი N01-01-09-8206, 19/12/2018.

<sup>60</sup> 2018 წლის 11 ივლისის N134 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის, შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის მოხსენებითი ბარათი N01-01-22/2099, 25/12/2018.



განსახორციელებლად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2018 წლის 7 ივნისს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი.<sup>61</sup> მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ სამინისტრომ ისე გამოაცხადა დანდალოს ხიდთან დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა, რომ არ შეისწავლა სამშენებლო ტერიტორიასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიები საკუთრების გამო (მიწის ნაკვეთის ზედდება მეზობელ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში), რამაც მშენებლობის პროცესის გაჭიანურება გამოიწვია.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგების შეფასების გარეშე დაგეგმვასა და განხორციელებას ადასტურებს ასევე ის, რომ აშენებული ფართები დღემდე უფუნქციოდაა. კერძოდ, მოუვლელობის გამო დაბინძურებულია ტერიტორია, ასევე ობიექტებს არ მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია.

შედეგად, „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3 პროექტზე ჯამში გახარჯულია 532,937 ლარი. ადგილზე დათვალიერებით ირკვევა, რომ პროექტს მოსალოდნელი საპროგრამო შედეგები არ აქვს. ზემოაღნიშნული შესაძლოა იყოს გარემოებათა არაჯეროვანი შესწავლისა და მოსალოდნელი შედეგების შეუფასებლობის შედეგი, რაც საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

**3.1.5 სახელმწიფო შესყიდვების პროცესის არაეფექტიანი მენეჯმენტი**

ა(ა)იპ – ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლამ, შენობის ლოკალური რემონტის ჩატარების მიზნით, 2019 წლის 6 ნოემბერს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.<sup>62</sup> სატენდერო დოკუმენტაციით სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე, რაც ტენდერის გამოცხადების თარიღის გათვალისწინებით, გადადიოდა 2020 წლის მაისში. შესაბამისად, სატენდერო პირობებში უნდა გათვალისწინებულიყო წინასწარი ანგარიშსწორების შესაძლებლობა ან შესაბამისი თანხა უნდა ასახულიყო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში, რაც არ განხორციელდა.

ტენდერში გაიმარჯვა უმცირესი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტმა – შპს „ვიგორამ“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება,<sup>63</sup> ღირებულებით – 99,500 ლარი.

2019 წლის 26 დეკემბერს, სატენდერო კომისიამ,<sup>64</sup> ხელშეკრულების შეუსაბამოდ, სატენდერო დოკუმენტაციის პირობებისგან განსხვავებით, შპს „ვიგორასგან“ მოითხოვა წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენა იმ მოტივით, რომ შემსყიდველი ვერ ახერხებდა თანხის ეტაპობრივ გადახდას და ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ავანსად, საბანკო გარანტიის საფუძველზე. შპს „ვიგორამ“ არ წარმოადგინა საბანკო გარანტია, რის შემდეგაც სამხატვრო სკოლამ შეწყვიტა ხელშეკრულება.<sup>65</sup>

შპს „ვიგორასთვის“ წაყენებული მოთხოვნით, ფაქტობრივად შეიცვალა სატენდერო პირობები, მოქმედი კანონმდებლობით კი სატენდერო კომისიას

<sup>61</sup> SPA180005281.

<sup>62</sup> NAT190021149.

<sup>63</sup> ხელშეკრულება N43, 06/12/2019.

<sup>64</sup> სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1/4, 26/12/2019.

<sup>65</sup> სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1/5, 31/12/2019.

უფლება აქვს შეცვალოს სატენდერო პირობები ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის – „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე.<sup>66</sup> აუდიტის შედეგად დგინდება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედება მოტივირებული იყო 2019 წლის ბიუჯეტის ათვისების მიზნიდან გამომდინარე, თუმცა არასათანადო კვალიფიკაციისა და შესყიდვების პროცესის არაეფექტიანი მენეჯმენტის გამო, შესყიდვა ვერ განხორციელდა. შედეგად, ვერ ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც შესაძლოა ძეგლის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს.

3.1.6 სხვა ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრი 2019 წელს ხშირად ახორციელებდა იმ ტიპის შესყიდვებს, რისი შესრულების საშუალება თავისი საშტატო რესურსითაც ჰქონდა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საშტატო ნუსხის შესაბამისად, წლის განმავლობაში სხვადასხვა ფუნქციის მხატვრის<sup>67</sup> პოზიციაზე დასაქმებული ჰყავდა 6 პირი, მათ შორის, უშუალოდ მხატვრის პოზიციაზე 2 პირი, განახორციელა სპექტაკლის დეკორაციისა და თოჯინების შექმნის/მოხატვის მომსახურების შესყიდვა.<sup>68</sup> გარდა ამისა, თეატრის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა სპექტაკლის ინსცენირების და სცენოგრაფიის შექმნის მომსახურების და სპექტაკლისთვის საჭირო რეჟისურის მომსახურების შესყიდვები (ორჯერ). განსხვავებით სხვა მსგავსი შინაარსის შესყიდვებისგან, ამ შემთხვევაში მიმწოდებელი იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თეატრის საერთო ხელმძღვანელია, განსაზღვრავს მის შემოქმედებით მიმართულებას და პასუხს აგებს თეატრის ფუნქციონირებაზე.<sup>69</sup> შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, ორგანიზაციის წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისივე სახელით დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

გარდა ამისა, წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი,<sup>70</sup> ვინაიდან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მონაწილე პირები – თეატრის დირექტორი და შესყიდვების კოორდინატორი ინიშნებიან უშუალოდ სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ ან სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგენით და იმყოფებიან სამხატვრო ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში. ასევე დაუსაბუთებელია სახელშეკრულებო დირებულების განსაზღვრის კრიტერიუმები: თუ ივნისში სპექტაკლისთვის საჭირო რეჟისურის მომსახურება თეატრმა შეიძინა 1,500 ლარად,<sup>71</sup> იმავე შინაარსის მომსახურებაში ნოემბერში გადახდილია 6,500 ლარი.<sup>72</sup> ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მენეჯმენტში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

<sup>66</sup> დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>67</sup> მხატვარ-გამნათებელი; მხატვარ-მძებრწავი; მხატვარ-დეკორატორი; მხატვარ-რეკვიზიტორი; მხატვარ-შემსრულებელი.

<sup>68</sup> CMR190069618 (დირებულება 3,780 ლარი).

<sup>69</sup> „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>70</sup> დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

<sup>71</sup> CMR190105478.

<sup>72</sup> CMR190177644. ჯამში, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის, 3 შესყიდვაში გადახდილია 11,000 ლარი.

### 3.2 ტრანსპორტის ხარჯები

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო (ფაქტობრივმა) ხარჯებმა შეადგინა 4,447,755 ლარი. გაწეული ხარჯების 99.8% მოდის ტრანსპორტის ხარჯებზე, მათ შორის, საწვავის ხარჯი შეადგენს 2,408,603 ლარს, ხოლო სათადარიგო ნაწილების, მათი შეკეთების და სხვა ხარჯები – 2,029,844 ლარს.

ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარჯების შემცირება შესაძლებელია ავტოპარკის ოპტიმიზაციისა და მიზანშეუწონელი და რიგ შემთხვევებში, არამიზნობრივი დანახარჯების შემცირებით. კერძოდ, აუდიტორული შერჩევის საფუძველზე<sup>73</sup> შესწავლილ იქნა რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი 47 ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ გაწეული საწვავის დანახარჯები. აუდიტის შედეგად, 11 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოვლინდა 29 შემთხვევა,<sup>74</sup> როდესაც უფლებამოსილი პირ(ებ)ი არ იმყოფებოდა მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე შესაბამისი უწყებები ვერ განმარტავენ სამსახურებრივი ავტომობილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ყოფნის მიზეზებს. ამ პირობებში გახარჯულია 2,066 ლარის ღირებულების 923 ლიტრი საწვავი, რაც არამიზნობრივი ხარჯია და ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

გარდა ამისა, უქმე და დასვენების დღეებში, ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ ყველა ორგანიზაციაში, როდესაც განპიროვნებული ავტომობილის<sup>75</sup> შემთხვევაში, ელექტრონული აღრიცხვის მონაცემებით, უფლებამოსილი თანამდებობის პირი არ იმყოფება ადმინისტრაციულ ოფისში, ფიქსირდება ავტომანქანის ექსპლუატაციისა და საწვავის ჩასხმის შემთხვევები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უქმე და დასვენების დღეებში, ძირითადად არ ხორციელდება განპიროვნებული ავტომობილების შესაბამისი ორგანიზაციის კუთვნილ პარკინგზე გაჩერება. ზემოაღნიშნული იწვევს როგორც ავტომანქანის ამორტიზაციას, ასევე ზრდის საწვავის ხარჯებს გამომდინარე იქედან, რომ საჯარო სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწვავის ხარჯად აღიარება ხორციელდება არა ზოგადი წესით,<sup>76</sup> არამედ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. ზემოაღნიშნული შემთხვევები მიუთითებს, რომ შესაძლოა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლები სამსახურებრივ ავტომობილებს პირადი (არასამსახურებრივი) მიზნებისათვის გამოიყენებდნენ.

შერჩეული საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის შედგენილი რაიმე ტიპის დოკუმენტი, რაც აუდიტის ობიექტების მიერ

<sup>73</sup> 158 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან შერჩეულ იქნა 47 ერთეული.

<sup>74</sup> მთავრობის აპარატი - 11 შემთხვევა; ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 15 შემთხვევა, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 3 შემთხვევა.

<sup>75</sup> განპიროვნებული ავტომობილი - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც იმყოფება კონკრეტული დაწესებულების ბალანსზე და გადაცემულია სამსახურებრივ, დროებით სარგებლობაში დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

<sup>76</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვ.) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი.“

ავტომობილების ფუნქციურ გადანაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობას დაადასტურებდა. შესაბამისად, აუდიტის ობიექტებს აქვთ შესაძლებლობა მარტივად შეცვალონ ავტოპარკის ფუნქციური გადანაწილების მონაცემები, რაც აუდიტორებს ზღუდავს, მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღონ დასაბუთებული რწმუნება ავტომობილების ფუნქციური გადანაწილების სისწორეზე. ასე მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 4 სამინისტროდან ერთში განპიროვნებული ავტომობილი გადაცემულია ყველა პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისთვის, თუმცა სხვა სამინისტროებში იმავე სტატუსის თანამშრომლები არ სარგებლობენ განპიროვნებული ავტომობილით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მთავრობამ შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა და ოპტიმიზაციის გეგმა, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის.

**3.3 პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2013 წლიდან დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ არ მტკიცდება ბიუჯეტის კანონით და მხოლოდ დანართის სახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია, იგი კვლავ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

აგრეგირებულ დონეზე გადასახდელების შესრულების მაჩვენებლების მიუხედავად, დაბალი ათვისებით ხასიათდება ცალკეული პროგრამა/ქვეპროგრამა. ამასთანავე, მათი ნაწილის შემთხვევაში, ასიგნებები საერთოდ არ იქნა ათვისებული. ჯამურად, დაზუსტებული გეგმის 75%-ზე ნაკლები ათვისების მაჩვენებელი გააჩნია 8 პროგრამას/ქვეპროგრამას.

**ცხრილი N3. ინფორმაცია რიგი პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულების შესახებ**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	გადახრა	შესრულება
სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	3,750,000	0	3,750,000	0%
მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	83,000	48,120	34,880	58.0%
კარიერული განვითარების ხელშეწყობა	193,300	121,314	71,986	62.8%
ახალგაზრდობის საჭიროებების კვლევა	33,300	20,532	12,768	61.7%
სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	1,413,902	695,551	718,351	49.2%
ვენახის ფართობებისათვის რკინა - ბეტონის საყრდენი ზომებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა	52,960	14,750	38,210	27.9%
მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა	248,755	95,865	152,890	38.5%
ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემა	462,000	105,696	356,304	22.9%



ზემოაღნიშნული 8 პროგრამიდან/ქვეპროგრამიდან აუთვისებელი დარჩა 5,135,389 ლარი, საიდანაც დიდი წილი ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე მოდის:

1) „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის“ პროგრამის გეგმა შეადგენდა 3,750,000 ლარს, რომელიც არ იქნა გაწეული. პროგრამა ითვალისწინებდა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი,<sup>77</sup> შესყიდვის სავარაუდო ღირებულების არასწორი განსაზღვრის გამო,<sup>78</sup> შერჩევა-შეფასების ეტაპზე შეწყდა, რაც სახელმწიფო შესყიდვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს. ხელმოწერა ტენდერი გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს.

2) „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტი, რომელსაც ახორციელებდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შეადგენდა 1,413,902 ლარს. ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან 2019 წელს აუთვისებელი დარჩა 718,351 ლარი, მათ შორის, ელექტრონულ ტენდერებზე ვაჭრობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 128,357 ლარს. გარდა ამისა, შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყების გამო, 589,994 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება და შესაბამისად, გადახდის დრო გადავიდა 2020 წელს. ზემოაღნიშნულის გამო ქვეპროგრამა დაგეგმილ ვადებში არ განხორციელდა, რის გამოც მოსახლეობამ დროულად ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები.

3) „ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, ფიზიკურ პირთათვის მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 356,304 ლარი. მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ კურორტ გოდერძიზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან/მოსარგებლეებთან, კომპენსაციის ოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო, ვერ გაფორმდა ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეების ნაწილი საკომპენსაციო თანხების გაზრდაზე დაობს სასამართლო წესით, ხოლო ნაწილს დავა აქვს ერთმანეთთან, მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებამ ისე განსაზღვრა პროგრამის მოცულობა, რომ საკითხი სათანადოდ შესწავლილი არ ჰქონდა, აგრეთვე არ ყოფილა შეფასებული მოსალოდნელი შეზღუდვები და პროგრამის განსაზღვრული თანხით დაფინანსების მიზანშეწონილობა.

<sup>77</sup> NAT190021387.

<sup>78</sup> სამინისტროს განმარტებით, უზუსტობები გამოვლინდა სამშენებლო მოცულობების ნაწილში, რამაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1,980,000 ლარით გაზრდა გამოიწვია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დაშვებული შეცდომების გამო მიმწოდებელი დაჯარიმდა 14,720 ლარით.

## 4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდევნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახორციელებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**აუდიტორები**

**ხელმოწერა**

**ჰენრი სანიკიძე**  
წამყვანი აუდიტორი – ჯგუფის ხელმძღვანელი  
**ირაკლი ანანიძე**  
წამყვანი აუდიტორი  
**ნინო ჩაგანავა**  
აუდიტორ-ასისტენტი  
**ურა პაპუკაშვილი**  
აუდიტორ-ასისტენტი

04/11/2020



## 5. დანართები

**ფინანსური  
ანგარიშგების  
ფორმები**
**ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)**

დასახელება	ანგარიში	2019 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები ფულადი სახსრები	1100-1200	35,274,443	2,796,490
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	98,856,376	1,548,593
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	6,572,911	6,883,888
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	214,317,807	203,984,742
არაფინანსური აქტივები			
მატერიალური მარაგები	1620	4,674,588	4,083,646
ძირითადი აქტივები	2100	440,003,473	349,209,410
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,936,378	2,582,100
ფასეულობები	2300	6,849,684	6,847,243
არაწარმოებული აქტივები	2400	268,716,710	261,479,953
<b>ბალანსი</b>		<b>1,077,202,370</b>	<b>839,416,066</b>
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	33,000,095	67,695
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	99,395,986	2,372,375
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3300	17,277,904	13,786,596
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	918,975,952	814,991,421
გაუნაწილებელი მოგება	5220	8,552,434	8,197,978
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
<b>ბალანსი</b>		<b>1,077,202,370</b>	<b>839,416,066</b>
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	319,856	279,414
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	75	75
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები	04	1,185,480	1,173,754
ექსპლუატაციაში პირობითი აქტივები	05	87,305,469	96,253
პირობითი ვალდებულებები	06	38,940	-
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	10,211,473	8,840,494
ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	5,694	5,694
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	4,632,226	2,632,476
საბანკო გარანტიები	12	2,741,697	1,813,155
ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანება	13	2,942	-

## კონსოლიდირებული ერთეულები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.  
 სახაზინო სამსახური.  
 სსიპ – ბათუმის ბულვარი.  
 სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია.  
 სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა.  
 ა(ა)იპ – „ბათუმის ბიზნესინკუბატორი“.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტი.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.  
 ა(ა)იპ – ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.  
 ბათუმის რესურსცენტრი.  
 ქობულეთის რესურსცენტრი.  
 ხელვაჩაურის რესურსცენტრი.  
 ქედის რესურსცენტრი.  
 შუახევის რესურსცენტრი.  
 ხულოს რესურსცენტრი.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო.  
 ა(ა)იპ – განათლების ფონდი.  
 ა(ა)იპ – მელიტონ ბალანჩივადის სახელობის ხელოვნების სკოლა.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის რევაზ ლალიძის სახელობის სამუსიკო სკოლა.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა.  
 ა(ა)იპ – აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა.  
 ა(ა)იპ – ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა.  
 ა(ა)იპ – ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი.  
 სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.  
 ა(ა)იპ – თანამედროვე ხელოვნების სივრცე.  
 სსიპ – აჭარის მუზეუმი.  
 სსიპ – ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.  
 სსიპ – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.  
 სსიპ – აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი“.  
 სსიპ – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი.  
 სსიპ – ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი.  
 ა(ა)იპ – აჭარის მწერალთა სახლი.  
 სსიპ – აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“.  
 სსიპ – აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“.  
 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.  
 სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

სსიპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრი  
ა(ა)იპ – აგროპროექტების მართვის ცენტრი  
სსიპ – ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი  
რესურსების სამმართველო  
სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტო

---

## საკონტაქტო ინფორმაცია

---

### ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://sao.ge/>  
<https://budgetmonitor.ge/ka>  
<http://blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

---

### ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

---

### ელექტრონული ფოსტა

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)

---

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38